განმარტებითი ბარათი

სამშენებლო მოედანზე დაირღვა უსაფრთხოების ნორმები, რაზეც მერიის ზედამხედველობის სამსახურმა გასცა დადგენილება №001611. დადგენილებაში მოთხოვნილი იქო უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა გათვალისწინება, გამოსწორება და ამ საკითხთან დაკავშირებით საქმსპერტო დასკვნის წარმოდგენა.

(ზედამხედველობის დადგენილება არ ექვემდებარება დაჯარიმებას და შესაბამისად ჯარიმის ქვითარს ვერ წარმოგიდგენთ)

დამკვეთმა შეასრულა ქველა მოთხოვნა, რის შემდებაც მერიის ზედამხედველობის სამსახურმა შეწყვიტა საქმე.

ამ ქველაფერს ვადასტურებთ ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტებით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ [illegible]

"[illegible]" 08 2016 წ.

დადგენილება №001611
სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შესახებ

09.08.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. № 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2016 წლის 28 ივნისის №001611 მითითება და 2016 წლის 18 ივლისის №001611 შემოწმების აქტი, შედგენილი მოქ. ვალოდია მნათობიშვილის (პირადი №31001029681), მის: ქ. თბილისი, სოფ. დიღომი) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 49-ე მუხლის (მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) "ა" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, სოფ. დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.035.724) მოქ. ვალოდია მნათობიშვილის მიერ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე დარღვეულია საქართველოს მთავრობის №361 27.05.2014წ. დადგენილებით დამტკიცებული "მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-თ გათვალისწინებული მშენებლობის უსაფრთხოების ნორმები: ფასადზე არსებული ღიობები და აივნები არ არის შემოღობილი, ასევე შენობის შიდა სივრცეში არსებული კიბის უჯრედები არ არის შემოღობილი. ერთ ვერტიკალზე სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში არ არის დაცული ქვემოთ განლაგებული სამუშაო ადგილები და სავალი ნაწილი სათანადო დამცავი საშუალებებით (ბადე, ფენილი). ობიექტზე მომუშავე პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2016 წლის 28 ივნისს შედგენილ იქნა მითითება №001611, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა ობიექტზე მშენებლობის უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად და საექსპერტო დასკვნის წარმოსადგენად მითითებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების შესახებ.

[illegible]

12.08.2016წ. [illegible]

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2016 წლის 18 ივლისს საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001611, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა – არ იქნა სრულყოფილად შესრულებული: ფასადზე არსებული აივნები და ღიობების ნაწილი არ არის შემოღობილი, ერთ ვერტიკალზე სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში არ არის დაცული ქვემოთ განლაგებული სამუშაო ადგილები და სავალი ნაწილი სათანადო დამცავი საშუალებებით (ბადე, ფენილი). ობიექტზე მომუშავე პერსონალი არ არის აღჭურვილი სათანადო ტექნიკური აღჭურვილებით, ასევე არ არის წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა მითითებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების შესახებ.

2016 წლის 09 აგვისტოს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ მხარეს ეცნობა სათანადო წესით, რომელიც სხდომაზე არ გამოცხადდა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მთ. სპეციალისტის ა. გაბეჭავას 08.08.2016წ. მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ მოქ. ვალოდია მნათობიშვილის მიერ სრულად არის შესრულებული სამსახურის №001611 28.06.2016წ. მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილია შ.პ.ს. “მშენ-ექსპერტი”-ს დასკვნა 28.07.2016წ. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, მოქ. ვალოდია მნათობიშვილის მიერ გამოსწორებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სოფ. დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.035.724) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე უზრუნველყოფილია სამსახურის №001611 28.06.2016წ. მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25 მუხლის მე-11 ნაწილის “ა” და “ბ” პუნქტებით

დავადგინე:

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება მოქ. ვალოდია მნათობიშვილის მიმართ.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე

მ. ჯაყელი